ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3966852

ნომერი: AR1591224

თარიღი : 17.04.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 17.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 10; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 8; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი , (ნაკვეთი 017/014); ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , (ნაკვეთი 17/026);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საქართველოს ბუტიკების სასტუმროები"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204546928
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გაი ბარნესი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 11214082

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/832
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.07.2009

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზი მურვანიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 17/04/2018 წლის AR1591224 განცხადება. გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა:

- განმარტებით ბარათში აღწერილი იქნას დღევანდელი მგომარეობა. წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა. (საპროექტო არეალის ფიქსაციით).

- შეთანხმებულ პროექტთან შედარებით გაზრდილია საერთო ფართი. იყო 1351.14 კვ.მ- კორექტირების შემდეგ გახდა 2194.1კვ.მ. საჭიროა წარმოდგენილი იქნას განმარტება /დასაბუთება აღნიშნულთან დაკავშირებით.
- წარმოდგენილი იქნას ტოპოგეგმაზე (არსებობის შემთხვევით ხე-ნარგავების და ხაზობრივი ნაგებობების ფიქსაციით) დამუშავებული გენგეგმა საკადასტრო საზღვრების ფიქსაციით. თუ ხდება ხე-ნარგავების მოჭრა გადარგვა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ნებართვა.
- წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ. მომიჯნავე შენობების დღევანდელი მდგომარეობის შეფასებით.
- ძეგლის არქიტექტურულ პროექტში მითითებული იქნას 0.00 ნიშნულის აბსოლუტრი მნიშვნელობა. (ნიშნული დაფიქსირდეს შენობაში შესასვლელებთანაც)
- გეგმაზე 6.45 ნიშნულზე, 1-2 ღერძებში მითითებული იქნას პანდუსის გაბარიტები და დახრა. მითითებული იქნას ტერასების ნიშნულები.
-ნიშნიანიძის ქ. N12-ის გამაგრების პროექტი ატვირთული უნდა იქნას ახალი განაცხადით მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით.
-16.07.2015 წლის N150763316 მინდობილობა ვადაგასულია, გაცემულია ერთის წლის ვადით. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, წარმოსადგენია საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნაგობისა და იჯარის უფლების საფუძვლად მითითებული დოკუმენტაცია სრულად, საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის თანხმობით.
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში გაწერილია სადემონტაჟო სამუშაოები. გთხოვთ სიტყვა "დემონტაჟი" ჩაანაცვლოთ სხვა ტერმინით. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა)დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ)ადაპტაცია. შესაბამისად, პროექტში და მშენებლობის ორგანიზების პროექტში "სადემონტაჟო სამუშოები" არ უნდა იყოს მითითებული. ხოლო, ამავე კანონის 26 მუხლის შესაბამისად ,,უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა''

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.